თვალსაჩინოებების არსებობის საკითხს, განიხილავს სტუდენტთა შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს მოიცავს თუ არა შეფასების ინსტრუმენტები/საგამოცდო საკითხები პროგრამით გათვალისწინებული მასალის ძირითად ნაწილს და იძლევა თუ არა შეფასების მეთოდი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შემოწმების/დადასტურების საშუალებას, შეესაბამება თუ არა სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა დადგენილ წესს, არის თუ არა შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანი და რამდენად დასაბუთებულად არის გადანაწილებული ქულები ან რამდენად ადეკვატურადა არის დადასტურებული შესრულების კრიტერიუმები. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ფასდება, რამდენად უწყობს ხელს პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ინტერაქტიურ სწავლა-სწავლების პროცესს, განსაზღვრავს რამდენად თავსებადია პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და კომპეტენციები პროფესიულ სტანდარტთან მიმართებაში.

კოლეჯში შექმნილია შიდამხარდაჭერის და მონიტორინგის ჯგუფი (ბრძანება № 01-04 135), რომელსაც ჰყავს კოორდინატორი/ზედამხედველი. მონიტორინგის მიზანია სასწავლო პროცესზე დაკვირვება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით. შემუშავებულია და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის - „ახალი ტალღა" დირექტორის 08.08.2018 წლის N01-04/120 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მარეგულირებელი წესი, რომლის თანახმად მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ამზადებს მონიტორინგის კვარტალურ/წლიურ ჯამურ ანგარიშს და იწვევს სხდომას მომდევნო კვარტლის/წლის პირველ კვირაში. ანგარიში განსახილველად წარედგინება კოლეჯის დირექტორს და თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელ პირს, რომლებიც თავის მხრივ კვარტალურ/წლიურ ანგარიშში განსაზღვრავენ კონკრეტული ანგარიშის შესრულების ინდიკატორს, რაც გულისხმობს - კი/არა/ნაწილობრივ შესრულდა და დასაბუთებას კონკრეტული აქტივობის არა/ნაწილობრივ/ვერ შესრულების შესახებ. ანგარიშის წარდგენის შემდგომ კოლეჯის დირექტორი გასცემს შესაბამის მითითებებს/რეკომენდაციებს კონკრეტული აქტივობის შემდგომ პერიოდში გადახედვაზე, ხოლო სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირთან ერთად ახდენს გეგმის კორექტირებას. წლიური მონიტორინგის შედეგების ანალიზი გადაეცემა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირს, რომლის საფუძველზეც იქმნება შესაბამისი საბოლოო ანგარიში და ქვეყნდება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულება ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულება ზრუნავს საკუთარი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რაც დასტურდება პედაგოგების ჩართულობით სხვადასხვა ტრენინგებში და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე. შიდა მონიტორინგის ჯგუფი ესწრება პრაქტიკულ და თეორიულ მეცადინეობებს, რაც დასტურდება ოქმებით.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის მართვის მენეჯერს შემუშავებული აქვს ონლინ გამოკითხივის სისტემა, რომელიც ეხმარება სწრაფად და ეფექტურად განახორციელოს სწავლების პროცესის შეფასება, ანალიზი და ხელს უწყობს მყისიერად მოახდინოს რეაგირება საჭროების შემთხვევაში.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2018 წლის 10 მაისის
   a. ბრძანება №01-04/73-ით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამის შემუშავების წესით;
2. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს № 01-04/123 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - საგნობრივი და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები) განხორციელების შეფასების წესით;
3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 08.08.2018 წლის №01-04/120 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მარეგულირებელი წესით;
4. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღას’’ ყოველწლიური ანგარიშით საგანმანათლებლო, ფინანსური და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით;
6. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის №01-04 135, ბრძანებით შიდამხარდაჭერისა და მონიტორინგის ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2. მატერიალური რესურსი**

**2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:**

**ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს ,,ახალი ტალღა“ უზუფრუქტის წესით გადაცემული აქვს ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქ.№154-ში მდებარე მიწის ნაკვეთი საერთო ფართით 9104 კვ.მ და ამ ნაკვეთზე განთავსებული 3 სასწავლო და რამოდენიმე დამხმარე შენობა-ნაგებობა, რომელთა საერთო ფართია 7299,3კვ.მ. დაწესებულებას იჯარით აღებული აქვს ფართი ქ. ბათუმში, კ. მარჯანიშვილისა და ლ. ასათიანის კვეთაზე.
სასწავლო შენობა N1- 1007,6 კვ.მ;
სასწავლო შენობა N2 - 3064,9კვ.მ.
სასწავლო შენობა N3 -1690,1 კვ.მ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| | **ქ, ქობულეთი,** რუსთაველის ქ. №154 | **N1, შენობა -1001.9**<br>**N2. შენობა -3892.2**<br>**N3. შენობა -1695.4**<br>**N4, შენობა - 309.4**<br>**N5 შენობა - 86.2**<br>**N6 შენობა - 48,8**<br>**N7 შენობა - 18.5**<br>**N8 შენობა - 34**<br>**N9 შენობა - 320.1** |

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
2. ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შენობა, რომელშიც დაწესებულება წარმოდგენილი 3 პროგრამის განხორციელებას გეგმავს, 2 სართულიანია, საერთო ფართით 1695.4 კვ.მ. მასში განთავსებულია პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები, მე-4 საფეხური - მე-3 სართულზე, 302 აუდიტორიაში; ვიზუალური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დათვარიელებითა და ფინანსური დოკუმენტაციით დასტურდება, რომ აუდიტორიაში და პროგრამის დანართში აღნიშნული ინვენტარი წარმოადგენს დაწესებულების საკუთრებას - ოტახის ფართია-39,8 კვ.მ, ოთახსი განთავსებულია 15 მოსწავლის მაგიდა და 15 სკამი.
მოდულური პროგრამა ბაღის დიზაინერის ინფრასტრუქტურა განლაგებულია იგივე კორპუსში, 57.1 კვ.მ ფართობზე. მისი დათვარიელებისას წარმოდგენილი იქნა სრული ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა და სხვა საჭირო ინვენტარი. აღნიშნული ინვენტარის დაწესებულებაშ ფლობის დასტურად წარმოდგენილი იქნა შესყიდვის ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები და საბალანსო ჩანაწერები.

მოდულური პროგრამა სტილისტის ჩარჩო დოკუმენტის აღჭურვილობის დანართის შესაბამისად მოვახდინეთ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის, აღწურვილობისა და მასალების დათვარიელება აღრიცხვა. დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა, რომელსთვისაც გამოყოფილია 72 კვ.მ სივრცე, სადაც A და C გარემო ერთად არის განთავსებული, მასალა და აღჭურვილობა სრულად აკმაყოფილებს პროგრამის განხორციელებისათვის საჭრო აღჭურვილობის მოთხოვნებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო გარემოს ერთად მოთავსება კონკრეტული პროგრამის განხორციელებისთვის ადეკვატური გადაწყვეტილებაა. აღნიშნული ინვენტარის დაწესებულებაშ ფლობის დასტურად წარმოდგენილი იქნა შესყიდვის ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები და საბალანსო ჩანაწერები.

ყველა აუდიტორიაში განთავსებულია სტუდენტის მაგიდები და სკამები, მასწავლებლის მაგიდა, კომპიუტერი და პროექტორი;
მატერიალური რესურსი, მასალების სახით, დაწესებულებაში ჯერ არ არის შეძენილი, მასალების შეძენა ყველა პროგრამისთვის განხორციელდება ავტორიზაციის მიღებისა და სასწავლო პროცესის დასაწყისისატვის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. სასაქონლო ზედნადებებით;
2. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით;
3. მიღება-ჩაბარების აქტებით;
4. ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
დაწესებულებას ელექტროენერგიით უზრუნველყოფს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, გაზით - შპს „სოკარ პრო ჯორჯია გაზი“, წყლით შპს „ქობულეთის წყალი“. წყალი კოლეჯს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება. შენობების გათბობა ხორციელდება ცენტრალური გათბობის მეშვეობით. საკლასო ოთახები ნათელია. შენობის ყველა სართულზე განლაგებულია სველი წერტილები და მათში დაცულია სანიტარული ნორმები. დაწესებულებაში არის ადაპტირებული სველი წერტილები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებით სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“,ვიზუალური დათვალიერებით;
2. წყალმომარაგების ხელშეკრულებით შპს „ქობულეთის წყალთან“;
3. ხელშეკრულებით გაზის ნასყიდობის შესახებ შპს-თან „სოკარ პრო ჯორჯია გაზი“ ;
4. საგადასახადო ანგარიშფაქტურებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ბიბლიოთეკა განთავსებულია პირველი სართულზე და მოიცავს სამკითხველო დარბაზს და წიგნსაცავს. კოლეჯის მიერ შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას. მასში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული 7 კომპიუტერი და 1 დიდი ქსეროქსის აპარატი. კოლეჯის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს **6472** ერთეულს (როგორც სასწავლო ასევე მხატვრულ ლიტერატურას). დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი ძირითადად არსებობს ელექტრონულ მატარებლებზე, რაც პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

დაწესებულებაში ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილია შესაბამისი სივრცე, სადაც ყველა კომპიუტერში ჩატვირთულია მოდულური პროგრამების შესაბამისი ლიტერატურა. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში არსებობს საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული კატალოგი.

დაწესებულების ბიბილიოთეკაში შედგა შეხვედრა სამივე პროგრამის პედაგოგებთან და ერთობრივად იქნა გავლილი მოდულები და შესაბამისი სახელმღვანელოები. შერჩევით იქნა შემოწმებული სახელმძღვანელოები თემატურად და ბიბლიოთეკაშ მათი არსებობა. გავესაუბრეთ ასევე ბიბილიოთეკის ხელმძღვანელს და გავეცანით მის პირად საქმეს, რა დროსად ექსპერტების მიერ დადგინდა მისი კვალიფიკაციის შესაბამსობა დაკავეულ თანამდებობის კვალიფიკაციის მოთხოვნასთან.

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკის ელექტრონული ვერსია openbiblio განთავსებულია ასევე კოლეჯის ვებ -გვერდზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტების ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულებით განსაზღვრული სახელმძღვანელოების შერჩევითი პრინციპით შემოწმება შესაბამისი მოდულების პედაგოგებთან ერთად. ყველა ჩვენს მიერ მოთხოვნილი სახელმძღვანელო აღმოჩნდა ადგილზე.

**ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია განხორციელდეს ელექტრომატარებელზე არსებული სასწავლო რესურსების თითო ეგზემპლიარის ამობეჭდვა-აკინძვა.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები**

1. *სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღას“ მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის დებულებითა და სარგებლობის წესებით; ბიბლიოთეკის სარგებლობის ინსტრუქციით.*
2. ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნით;
3. სასაქონლო ზედნადებებით;
4. კოლეჯის ვებ გვერდით;
5. *მიღება-ჩაბარების აქტებით;*
6. *ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების კატალოგით;*
7. *ვიზუალური დათვალიერებით.*
8. *ბიბილიოთეკარის პირადი საქმის გაცნობით.*

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

საზოგადოებრივი კოლეჯის მფლობელობაშია და სხვადასხვა აუდიტორიაში განთავსებულია 272 პერსონალური კომპიუტერი და 155 ლეპტოპი, 38 პრინტერი და 42 პროექტორი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე დაწესებულების მართვაში, ადმინისტრაციის სარგებლობაშია 29 კომპიუტერი, მათ შორის 24 ლეპტოპი.

ახალი 3 საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილ სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია 15 პერსონალური კომპიუტერი და 3 პროექტორი. ბიბლიოთეკაში გამოიყენება 7 კომპიუტერი. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ინტერნეტის მომსახურებასთან დაკავშირებით სს „სილქნეტთან", ხელშეკრულება დომენური სახელების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე შპს „სქილერსთან", ხელშეკრულება ვებ-ჰოსტინგის მომსახურების გაწევის შესახებ შპს მაგთიკომთან. კოლეჯის ვებ გვერდი http://www.kpc.ge ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. საზოგადოებრივი კოლეჯი აწარმოებს რეესტრს მოქმედი კანონმდებლობით. შემუშავებულია საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №01-04/82 ბრძანებით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით N03-08/242 უწყვეტი ოპტიკურ ბოჭკოვანი
2. ინტერნეტის მიწოდებასთან დაკავშირებით სს სილქნეტთან (2017 წლის 25 დეკემბერი);
3. საგადასახადო ანგარიშფაქტურებით;
4. ხელშეკრულებით დომენური სახელების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე შპს „სქილერსთან" №03
5. 08/111 (04.06.2018);
6. ხელშეკრულებით ვებ-ჰოსტინგის მომსახურების გაწევის შესახებ შპს მაგთიკომთან №03-08/251
7. (28.12.2017);
8. კოლეჯის ვებ გვერდით http://www.kpc.ge;
9. საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოების წესით;
10. ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

საზოგადოებრივი კოლეჯი ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიან ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემაში ,,eflow“. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 2015 წლის 21 იანვრის №01-04/06 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება გამოცემული აქტების, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია და აღრიცხვა. ასევე ხდება გამოცემული ბრძანებების აღრიცხვა, ხელშეკრულებების, პირადი საქმეების სათანადოდ წარმოება. ბრძანებების აღრიცხვა ხორციელდება ასევე ჟურნალში გატარებით, რომელიც დანომრილი და ზონარგაყრილია. გადამოწმდა ასევე პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა რეესტრი. დაწესებულებამ წარმოადგინა 8 სათანადო წესით აკინძული და დანომრილი წიგნები საქმისწარმოების შესახებ, სადაც დაწესებულება აწარმოებს გამოცემული კორესპონცენციებისა და აქტების აღრიცხვა; (2018 წელს, პირადი შემადგენლობის ბრძანებების წიგნი, ბრძანებების სიგნი, პროფესიულ სტუდენტთა მობარაობის და მიღების შესახებ, მივლინება, შევებულება ბიულეტინი, იჯარით, ქვეიჯარის სარგებლობაზე, მომსახურების შესახებ, შესყიდვებზე ხელშეკრულებების შესახებ და სხვ.)

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

**შეფასება:**

1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიან ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემით ,,eflow“;
2. ბრძანებების და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვის წიგნები.

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების რეგულაციები ითვალისწინებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს. ყველა სართულზე სათანადო ადგილას დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, ფუნქციონირებს სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, პირველადი სამედიცინო დახმარების, მედიკამენტების ვარგისიანობის დასადგენად და მარაგის შესავსებად გამოყოფილია შესაბამისი პირი.

დაწესებულებას ასევე აქვს შესაბამისი გამოცებული აქტები : 1.”სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯში “ახალი ტალღა” და მის მფლობელობაში სარგებლობაში არსებულ ფართებში ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის სადღეღამისო კონტროლის განმახორციელებელი მორიგე ჯგუფის განსაზღვრის შესახებ” ბრძანება #01-04/93,2018 წლის 6 ივნისი; 2.”სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ახალი ტალღა ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოვისათვის პერსონალის მოქმედებების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ბრძანება #01-04/93; 2018 წლის 6 ივნისი 3. “სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯში “ახალი ტალღა” ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხიმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ” ბრძანება #01-04/91 2018 წლის 6 ივნისი; 4. “სსიპ საზოგადოებირივ კოლეჯის “ახალი ტალღა” შრომის უსაფრთო გარემოს უზრუნველოფის წესის გასაზღვრის შესახებ” - ბრძანება #01-04/134 2015 წლის 17 ნოემბერი სადაც განსაზღვრულია შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი.

კოლეჯს აქვს  სამედიცინო დახმარების ოთახი, რომელიც  აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და დაკომპლექტებულია  პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტებით.  დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია მედიკამენტების ვარგისიანობის კონტროლის განმახორციელებელი პირი. პირველადი სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფს კოლეჯის მედდა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის 2014 წლის 18 აგვისტოს №194 ბრძანებით საზოგადოებრივ კოლეჯში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ყველა სართულზე დამონტაჟებულია 69 ვიდეოთვალი, მათ შორის შიდა 48 და გარე 21 - 3 მეგაპიქსელიანი ვიდეოკამერა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**
**შეფასება:**

1. ხანძრის პირობებში ევაკუაციის უხრუნველყოფისთვის პერსონალის მოქმედებების ინსტრუქციით,
2. რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N 01-04/92.
3. დირექტორის ბრძანებით №01-04/93 განსაზღვრული სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მფლობელობაში არსებულ ფართებში ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის სადღეღამისო კონტროლის განმახორციელებელი მორიგე ჯგუფის უფლება-მოვალეობებით.
4. დირექტორის ბრძანებით სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
5. დირექტორის ბრძანებით ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისთვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
6. დირექტორის ბრძანებით №01-04/134 დამტკიცებული შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით;
7. ვიზუალური დათვალიერებით.

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო შენობები ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. შემოსასვლელში არის გრძელი პანდუსი, რომელიც შშმ პირისთვის სრულად უზრუნველყოფს გადაადგილების საშუალებას. სველი წერტილები ადაპტირებული და მოწესრიგებულია. შესასვლელი კარი ფართოა და სტანდარტის შესაბამისია. შშმ/სსსმ პირებს აქვთ წვდომა ბიბლიოთეკასთნ, აადმინისტრაციასთან, სასწავლო ლაბორატორიებთან, აუდიტორიებთან. შენობაში შიდა ეზოდან შესაძლებელია პანდუსით სარგებლობა, შენობაში განთავსებულია ლიფტი, რომლითაც შესაძლებელია შშმ პირთა გადაადგილება, ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯის ვებგვერდია http://www.kpc.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია: კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები, კოლეჯის ისტორია, მარეგულირებელი დოკუმენტები, პარტნიორები, ვაკანსიები. აქვე იძებნება ინფორმაცია დაწესებულების სტრუქტურის, პროფესიული მასწავლებლების, მატერიალური რესურსის, საერთაშორისო პროექტების შესახებ. ვებგვერდზე განთავსებულია პროგრამების ჩამონათვალი და კატალოგი, ინფორმაციები სტუდენტური ცხოვრების შესახებ, ფოტოგალერეა და კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაციები, კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამები, ინფორმაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის შესახებ, შინაგანაწესი, წესდება, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, ბიბლიოთეკის ელექტრონული ვერსია და სხვა. ინფორმაციის განახლება ხორციელდება რეგულარულად. დაწესეულების ინფორმაცია ახლდება რეგულარულად, ბოლო სიახლე განთავსებულია - 2018 წლის 11 აგვისტოს.

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე http://www.kpc.ge/. კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაციას, დაწესებულების მისიას, პროფესიული პროგრამების მიზნებს, საფეხურებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციებს, მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლების ენას, სწავლის შედეგებს, დასაქმების სფეროებსა და პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასებას. წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტების, პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ. მომზადებულია დასამატებელი პროგრამის აღწერილობა (კატალოგი), რომელიც პროგრამის დამატების შემთხვევაში განთავსდება კოლეჯის ვებგვერდზე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. ვებგვერდით http://www.kpc.ge;
2. ვიზუალური დათვალიერებით ;
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით N03-08/242 უწყვეტი ოპტიკურ ბოჭკოვანი
4. ინტერნეტის მიწოდებასთან დაკავშირებით სს სილქნეტთან (2017 წლის 25 დეკემბერი);
5. საგადასახადო ანგარიშფაქტურებით;
6. ხელშეკრულებით ვებ-ჰოსტინგის მომსახურების გაწევის შესახებ შპს მაგთიკომთან N03-08/251
7. (28.12.2017);

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*{ქალაქი, წელი}*

**2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

პროფესიული კოლეჯის მიერ შემუშავებულია 2018 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს კოლეჯის მისიიდან და მასში ასახულია ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები ერთი წლის განმავლობაში. მასში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის დამატება.

შემუშავებულია აგრეთვე გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების საგანმანათლებლო მისიიდან და ემსახურება მის შემდგომ ეფექტურ განვითარებას. გეგმები ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

კოლეჯის მიერ შემუშავებულია სტრატეგიული გეგმის შედგენის მეთოდოლოგია.

**აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმა არ არის ჩაშლილი აქტივობების, შესრულების კრიტერიუმების მიხედვით. კოლეჯის წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია სამოქმედო გეგმის უფრო დეტალურ გაწერასთან დაკავშირებით.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
2. გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმით
3. დირექციის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით.
4. **ორივე დოკუმენტი განთავსებულია დაწესებუების ვებ გვერდზე (http://www.kpc.ge/).**

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*{ქალაქი, წელი}*

## 3. ადამიანური რესურსი

### 3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

საზოგადოებრივი კოლეჯის სტრუქტურა შედგება კოლეჯის დირექციის, ადმინისტრაციის, დამხმარე პერსონალის, პედაგოგიური რესურსის და შტატგარეშე თანამშრომლებისაგან. საზოგადოებრივი კოლეჯის მართვის ორგანოებია კოლეჯის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო. კოლეჯის შინაგანაწესით (კარი II, თავი I) განსაზღვრულია დასაქმების მსურველთათვის დადგენილი ძირითადი და დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში. არსებული მდგომარეობით და თანამდებობრივი ინსტრუქციების მიხედვით კოლეჯს ჰყავს: საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭო (საზოგადოებრივი კოლეჯის უმაღლესი მართვის ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 5 წევრისაგან), დირექტორის მოადგილე, ფინანსური მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ბუღალტერი, შესყიდვების სპეციალისტი, იურისტი, საქმისმწარმოებელი, ადამიანური რესურსების სპეციალისტი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სასტუმროს ადმინისტრატორი, საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორი, კვების ბლოკის ხელმძღვანელი, ლოჯისტიკი, პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი, ღონისძიების ორგანიზატორი, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, ქსელის ადმინისტრატორი, კომპიუტერული ქსელის სპეციალისტი, მიმღები ადმინისტრატორი, მედდა, ბიბლიოთეკარი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, მძღოლი და სხვა. თანამდებობრივი ინსტრუქციებში გაწერილია მოთხოვნილი სამუშაო გამოცდილება, კვალიფიკაცია, თანამდებობრივი მოვალეობები და ფუნქციები თანამდებობრივი უფლებები, სამუშაო პირობები და სხვა.

დაწესებულებაში მოვახდინეთ შეხვედრა დაწესებულების ადმინისტრაიულ პერსონალთან და პედაგოგებთან. ასევე შემოწმებულ იქნა პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ პერსონალის პირადი საქმეები. **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პერსონალის პირადი საქმეებისათვის საჭირო დოკუმენტაცია სხვადასხვა დოკუმენტების ნაცვლად თავმოყრილი იქნას ერთიან ფოლდერებში და მიეცეს ერთიანი პირადი საქმის სახე.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტების მიერ შემოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მათ პირად საქმეებში განთავსებულია დაწესებულების მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. პერსონალის პირადი საქმეებით;
2. თანამდებობრივი ინსტრუქციებით;
3. დანიშვნის ბრძანებებით;
4. პერსონალთან გასაუბრებით.

**შეფასება:**

■ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია. შესწავლილ იქნა პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მათ უდასტურდებათ უმაღლესი განათლება, მინიმუმ სამწლიანი სამუშაო გამოცდილება ან მე-4-მე-5-ე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. დაცულია პროგრამების განმახორციელებლების და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა.
თუმცა რამდენიმე შემთხვევაში მოხდა პირადი საქეების შევსება მაგ. კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროგრამის პედაგოგს [redacted] პირად საქმეში არ ჰქონდა ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ, რომელიც ადასტურებდა კვალიფიკაციას, რაც მოიტანა ვიზიტის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერიოდში. დაწესებულებაში გადამოწმებულ იქნა პედაგოგების პირადი საქმეები და შედარებულ იქნა იმ მოდულებთან რომელიც პირობითად მათ უნდა წაიკითხონ. ბაღი- 7 პედაგოგი; თმა - 11 პედაგოგი; კომპიუტერი - 7;
დირექტორის ბრძანებით 2018 წლის 10 აგვისტოს N 01-04/122 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებრივ კოლეჯში ,,ახალი ტალღა'' პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგია.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეებით;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
3. მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/წინარე ხელშეკრულებებით;
4. პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრება.

**შეფასება:**

■ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. საზოგადოებრივი კოლეჯის თანამდებობრივი ინსტრუქციების №41 მუხლის თანახმად კოლეჯის პროფესიული მასწავლებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის პროფესიული მასწავლებელი ანგარიშვალდებულია, დირექტორის, დირექტორის მოადგილის, სასწავლო-საწარმო პრაქტიკის მენეჯერის, ხარისხის მართვის მენეჯერის და სასწავლო პროცესის მენეჯერის წინაშე. პროფესიულ მასწავლებლებთან დადებულია შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები, რომლებიც გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია: ხელშეკრულების მხარეები, ხელშეკრულების საგანი, სამუშაოს შესრულება, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, სამუშაო დრო დასვენების დრო, შესვენების დრო, დასვენების დღეები, შრომის ანაზღაურება, შრომითი ურთიერთობების შეცვლა და შეწყვეტა დასაქმებულის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა, დამსაქმებლის უფლება მოვალეობები, ხელშეკრულების შესრულების ადგილი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სამუშაოს დაწყების თარიღი, ხელშეკრულების შეწყვეტა და სხვა დებულებები. **თუმცა დაწესებლებას მიეცა რეკომენდაცია გაიწეროს საკვალიფიკაციო მოთოვნები თითოეულ პოზიციაზე** საშტატო განრიგის მიხედვით**, რათა თანამშრომლის დაქირავების პროცესი უფრო გამჭრივალედ წარიმართოს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის ბრძანებებით;
2. შინაგანაწესით;
3. პროგრამების განმახორციელებლებთან დადებული ხელშეკრულებებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

*გთხოვთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*{ქალაქი, წელი}*

| № | პროგრამის დასახელება | როფესიული ანათლების აფეხური | მისანიჭებელი ვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის | რედიტების აოდენობა ოდულური როგრამის რაქართულენოვანი ტუდენტებისთვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | ტუდენტთა აქტობრივი აოდენობა ისამართები ახედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კომპიუტერული ქსელი და სისტემები | მეოთხე | მე-4 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში. | 90 | 120 | ქართული | ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ N154 | 0 | 30 |
| 2 | ბაღის დიზაინი | მეოთხე | მე-4 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში | 75 | 105 | ქართული | ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ N154 | 0 | 28 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | თმის სტილისტი | მესამე | მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში. | 61 | 76 | ქართული | ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ N154 | 0 | 30 |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

- ვიზიტის დღის წესრიგი(**დანართი №1, 2 ფურცლად**).;

31.08.2018

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: